

შეტყობინება მეცხრე
აშენება და ბრძოლა –
სულიერ ომში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა,
ეკლესიის ასაშენებლად

აღგილები წერილიდან: ნემ. 4; ეფეს. 1:19-23; 2:6, 21-22; 4:16, 23-24; 6:10-20

I. ნეემიას წიგნის მე-4 თავში აღწერილია ხელის შეშლა მტრის მხრიდან ქალაქის ხელმეორედ აშენებასთან დაკავშირებით:

- ა. მტრები განრისხდნენ და ძალიან გაბრაზდნენ; ისინი დასცინოდნენ იუდეველებს და სძულდათ მათი სამშენებლო სამუშაო – მუხ. 1-3:
 - 1. მტრები განრისხდნენ, რადგან სამშენებლო სამუშაო წინ მიიწევედა, და მათ ერთობლივად მოაწყვეს შეთქმულება, რათა მისულიყვნენ და ებრძოლათ იერუსალიმის წინააღმდეგ – მუხ. 7-8.
 - 2. ნეემია დაიმედებული იყო ღმერთზე, ლოცულობდა იმაზე, რომ ღმერთს მიემართა მათი საყვედური თვითონ მათზე; ამგვარად, იუდეველები აშენებდნენ კედელს, რადგან მათ ჰქონდათ გული, რომელსაც სურდა, რომ მათ ემუშავათ – მუხ. 4-6.
- ბ. იუდეველები ლოცულობდნენ თავიანთი ღმერთის წინაშე, და ნეემიას მითითებებითა და ხელმძღვანელობით ისინი აყენებდნენ მტრის წინააღმდეგ გუშაგებს დღისით და ღამით:
 - 1. ისინი მზად იყვნენ, რომ ებრძოლათ იარაღით ხელში ნეემიას მიერ შთაგონების წყალობით, რომელიც არიგებდა მათ, რომ ხსომებოდათ უფალი, დიადი და გასაოცარი, და ებრძოლათ თავიანთი ოჯახებისათვის – მუხ. 14.
 - 2. ნეემიას მსახურების ნახევარი შრომობდა, ხოლო ნახევარს ხელში ეჭირა იარაღი, და მზად იყო საბრძოლოდ – მუხ. 16.
 - 3. ერთი მხრივ, ისრაელის შვილები მზად იყვნენ ბრძოლისათვის; მეორე მხრივ, ისინი დაიმედებულნი იყვნენ ღმერთზე, სწამდათ, რომ ღმერთი იბრძოლებდა მათ მაგივრად – მუხ. 9-23.
 - 4. როგორც მხედართმთავრი, ნეემია იმყოფებოდა მათ შორის, ვინც მზად იყო ებრძოლა მტრის წინააღმდეგ; ის მონაწილეობას იღებდა ღამის გუშაგობაში და არ გადასცემდა ამ ვალდებულებებს სხვებს, არამედ თვითონ მონაწილეობდა მათ შესრულებაში – მუხ. 17-23.

II. ეკლესიის, როგორც ღმერთის ქალაქის, აშენება – არ არის იოლი ამოცანა; მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრძოლის საშუალებით – ეფეს. 2:21-22; 4:16; 6:10-20:

- ა. როდესაც ისრაელის შვილები დაბრუნდნენ ტყვეობიდან, ეზრა, ნეემია და სხვები წამოიმართნენ, რათა აეშენებინათ ტაძარი და წმიდა ქალაქი, განეხორციელებინათ გაძლიერებული საომარი მოქმედებები.
- ბ. ისრაელიანები, რომლებიც მუშაობდნენ მშენებლობაზე ნეემიასთან ერთად, ერთი ხელით შრომობდნენ, აშენებდნენ, ხოლო მეორე ხელით ეჭირათ იარაღი ბრძოლისათვის (ნემ. 4:17); ეს გვჩვენებს, რომ ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვშრომობთ ღმერთის ნაგებობაზე, ჩვენ განუწყვეტლივ გვიწევს მონაწილეობის მიღება ბრძოლაში.
- გ. ღმერთის საცხოვრებლის აშენებასთან დაკავშირებით, ღმერთსა და მის მტერს შორის მიმდინარეობს ნამდვილი დაპირისპირება, სასტიკი ბრძოლა – მუხ. 1-3, 7-8:

1. მტერს სძულს, როდესაც ხედავს, რომ მიმდინარეობს წარმატებული აშენება ღმერთის საცხოვრებლისა.
 2. სატანა აკეთებს ყველაფერს, რათა შეაჩეროს შენება, ხელი შეუშალოს მას, თავს დაესხას მას და გაანადგუროს ის – მათე 16:18-19.
- დ. ჩვენ უნდა ავაშენოთ ეკლესია როგორც ტაძარი, და უნდა ვიბრძოლოთ, რათა ღმერთს ჰქონდეს სამეფო – 6:10.
- ე. როდესაც წმიდანები მიგრირებენ ეკლესიური ცხოვრების ასაშენებლად, ისინი არიან ჯარი, რომელიც აწარმოებს ბრძოლას – შდრ. საქმე. 8:4-12.
- ვ. მათ, ვინც აშენებენ ეკლესიას, ერთდროულად უნდა აშენონ და იბრძოლონ – ნეემ. 4:14, 16-21.
- ზ. ომის გარეშე და ბრძოლის სულის გარეშე არ არის აშენება; აშენება მოითხოვს დამდღველი ომის წარმოებას.

III. ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, აშენებისათვის საჭიროა სულიერი ომი – ეფეს. 6:10-20:

- ა. სამწუხაროდ, დღეს ეკლესიაში მორწმუნეებიდან თითქმის არავინ არ იცის ამ სულიერი ომის შესახებ; ეს განპირობებულია სიცოცხლეში უძლურებით, სულიერი ძალის ნაკლებობითა და არასრული სიცხადით ჭეშმარიტების სინათლესთან დაკავშირებით.
- ბ. სულიერი ომი დაფუძნებულია ქრისტეს გამარჯვებაზე – ებრ. 2:14; კოლ. 2:15; 1 იოანე 3:8:
1. სულიერი ომის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ვიდგეთ ქრისტეს გამარჯვების საფუძველზე, ანუ იმაზე, რომ დავინახოთ, რომ ქრისტემ უკვე გაიმარჯვა მტერზე – ქებ. ქ. 4:8; გამოცხ. 3:21; 5:5-6:
 - ა) ღმერთის ძე გამოვლინდა, რათა გაენადგურებინა ეშმაკის საქმეები – 1 იოანე 3:8.
 - ბ) თავის განკაცებასა და ადამიანურ ცხოვრებაში ქრისტემ გაიმარჯვა სატანაზე უდაბნოში გამოცდის დროს – მათე 4:1-11.
 - გ) სიკვდილის მეშვეობით უფალმა იესომ გაანადგურა ეშმაკი, რომელსაც აქვს სიკვდილის ძლევა მოსილება; მან გაანადგურა სატანა, გადააქცია ის არაფრად – ებრ. 2:14.
 2. ეკლესიის სამუშაო დედამიწაზე არის ის, რომ შევინარჩუნოთ ქრისტეს გამარჯვება; უფალმა უკვე მოიგო ბრძოლა, და ეკლესია არის აქ, რომ შეინარჩუნოს მისი გამარჯვება – ეფეს. 6:11, 13.
- გ. ომი ეკლესიასა და სატანას შორის არის ბრძოლა ჩვენსა, მათ, ვისაც უყვარს უფალი და იმყოფება მის ეკლესიაში, და ზეციურ ფარგლებში მყოფ ბოროტ ძალებს შორის – მუხ. 12:
1. სიბნელის ხელმწიფებანი, ძალაუფლებანი და ქვეყნიერების მმართველები – არიან ამბოხებული ანგელოზები, რომლებიც გაჰყვნენ სატანას ღმერთის წინააღმდეგ მის ამბოხში და რომლებიც ახლა ზეციურ საზღვრებში მართავენ ქვეყნიერების ხალხებს – კოლ. 1:13; დან. 10:20.
 2. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ბრძოლა არის არა ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ზეციურ საზღვრებში მყოფი ბოროტი სულების, ბოროტი ძალების, წინააღმდეგ.
- დ. სულიერი ომი არის ქრისტეს სხეული საკითხი; ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სხეულში – ეფეს. 1:22-23:

1. სულიერ ომს აწარმოებენ არა ცალკეული ადამიანები, არამედ სხეული – 4:12, 16; 5:30.
 2. ეკლესია არის ერთობლივი მეომარი, ხოლო მორწმუნეები ერთად შეადგენენ ამ ერთობლივ მეომარს – 6:10-20.
 3. თუ ჩვენ წავიკითხავთ ეფესელთა მიმართ წერილს 1-ლიდან მე-6 თავის ჩათვლით, ჩვენ დავინახავთ, რომ ომი არის ქრისტეს სხეულის საკითხი, ხოლო სხეული არის ახალი ქმნილება ქრისტეში, სულში და ზეციურ საზღვრებში – 2:6:
 - ა) თუ ჩვენ არა გვაქვს სხეულის ცხოვრება, ჩვენ გამოუსადეგარი ვართ სულიერ ომში მონაწილეობისათვის.
 - ბ) იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ბრძოლა, ჩვენ უნდა ვიყოთ სხეულის სინამდვილეში – 4:12, 16.
 4. მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთობლივად ვიქნებით ჩამოყალიბებულნი ჯარად, ჩვენ შევძლებთ ბრძოლას ღმერთის მტრის წინააღმდეგ – 6:11-12.
- ე. იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ ღმერთის მტერთან, ჩვენ უნდა ავივსოთ ძალით იმ ძალის სიდიადის წყალობით, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა ქრისტე და დასვა ის ზეციურ საზღვრებში, ყველა ბოროტ ძალაზე გაცილებით მაღლა ჰაერში – მუხ. 10; 1:19-22:
1. ის, რომ ჩვენ უნდა ავივსოთ ძალით უფალში, გვიჩვენებს, რომ ჩვენს თავში ჩვენ არ შეგვიძლია ვაწარმოოთ სულიერი ომი სატანისა და მისი ბოროტი სამეფოს წინააღმდეგ; ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ მხოლოდ უფალში და მისი ძალის ძლიერებაში – 6:10.
 2. ბრძანება, რომ ავივსოთ ძალით, გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი ნება; თუ ჩვენ გვინდა, რომ ავივსოთ ძალით სულიერი ომისათვის, ჩვენი ნება უნდა იყოს ძლიერი და მიჩვეული უნდა იყოს ვარჯიშს – ქეპ. ქ. 4:4.
- ვ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გამოვიყენოთ სულიერი ომის პრინციპები:
1. პირველი პრინციპი სულიერი ომისა არის ის, რომ ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ ხორციელი იარაღი, ადამიანური ცბიერება და ბუნებრივი მეთოდები; ვინაიდან სულიერი ომი მიმდინარეობს არა ხორცის წინააღმდეგ, არამედ სულიერი ძალების წინააღმდეგ (ეფეს. 6:12), იარაღი არ უნდა იყოს ხორციელი (2 კორ. 10:3-5).
 2. მეორე პრინციპი სულიერი ომისა არის, რომ შევინარჩუნოთ ამაღლების მდგომარეობა – ეფეს. 2:6:
 - ა) ბრძოლაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რომ დავიკავოთ პოზიცია მტერზე მაღლა.
 - ბ) სატანა და მისი სულიერი ძალები არიან ჰაერში, ხოლო ჩვენ დასახმული ვართ მესამე ცაზე მათზე ზემოთ – მუხ. 6.
 - გ) სატანა და მისი ძალები არიან ჩვენ ქვემოთ და ამიტომ განწირულნი არიან მარცხისათვის ჩვენთან ბრძოლაში.
 3. მესამე პრინციპი სულიერი ომისა არის ის, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სულიერი იარაღი – 2 კორ. 10:3-5:
 - ა) სულიერი იარაღი ძლიერია მტრის სიმაგრეების გასანადგურებლად – მუხ. 4-5.
 - ბ) როდესაც ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, უნდა გამოდიოდეს ჩვენი სულიდან – ჩვენ უნდა შევეხოთ

გრძნობებს, რომლებიც გამოდის ჩვენი სულიდან; ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პრინციპი.

4. მეოთხე პრინციპი სულიერი ომისა არის ის, რომ ვილოცოთ საბრძოლო ღოცვებით – სულიერი ომის ღოცვებით – მათე 6:9-10, 13:
- ა) რა დროსაც ან სადაც არ უნდა ხდებოდეს ეკლესიის აშენება, ჯოჯოხეთის ბჭენი მოქმედებენ მის წინააღმდეგ; ამიტომ, საჭიროა საბრძოლო ღოცვები – 16:18-19.
 - ბ) თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ყველაზე ფასეული ღოცვები არის ღოცვები ამაღლებაში, მაშინ ჩვენ შევძლებთ გავიგოთ, რომ ღოცვა არის ომი, და ჩვენ წარმოუთქვამთ საომარ ღოცვებს; ასეთია ღოცვის ბუნება, რომელზეც საუბარია ეფესელთა მიმართ წერილის მე-6 თავში:
 - 1) ყველა ღოცვა, რომლებიც წარმოითქმება ზეციურ სფეროში და დმერთის ტახტიდან, არის საომარი ღოცვა – გამოცხ. 5:8; 8:3-5.
 - 2) თუ ჩვენ ვიმყოფებით ზეციურ სფეროში, ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ ამაღლების ღოცვებით, საომარი ღოცვებით – ეფეს. 2:6; 6:18.
 - გ) როდესაც ჩვენ ვძლიერდებით, ჩვენ ვახლდებით; როდესაც ჩვენ ვახლდებით, ჩვენ ვივსებით; როდესაც ჩვენ ვივსებით, ჩვენ აღვიჭურვებით, რათა ვიბრძოლოთ; სწორედ მებრძოლ, საომარ სულში ჩვენ ვლოცულობთ სულიერი ომის საბრძოლო ღოცვებით – 3:14-16; 4:23-24; 5:18ბ; 6:18.
 - დ) ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ეშმაკის ხრიკებს, ვაწარმოთ ბრძოლა სხეულში საომარი ღოცვების მეშვეობით, ვილოცოთ ყოველთვის სულში, რათა შევიძლოსოთ დმერთის ყოველგვარი საჭურველით, ქრისტეს სხეულის, როგორც დმერთის სახლის, ასაშენებლად, დმერთის დიდებისათვის და – როგორც დმერთის სამეფოსი, დმერთის ბატონობისათვის, დმერთის სახლმშენებლობის საბოლოო აღსრულებისათვის – მუხ. 10-20.